



№ 27 - 1916
 კვირა, 3 მაკათაფი

ფასი
 12 კ.

ფელიწადი მამოტხე
 გამოცემისა



ალექსანდრე ნტონის ძე ცაგარელი
 დასასხურებელი პრაფესორი პეტრო-
 გრადის უნივერსიტეტისა, ამ წამად
 თბილისშია.
 (სურათი გადაღებულია 12 წ. წ. იტალიაში)

3 მკათათვის

გაუთავებე- საქართველოს მტრები მუდამ **ლი შულლი.** ღმერთს შეღალატებდენ: ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემო!

ამაში იყო ჩვენი უძლურება — მტრების ძლიერება.

ამ ერთი ზირის უქონლობამ რაოდენი ცრემლი გვაფრქვევინა, რაოდენი დოვლათი დაგვიღუპა, — ვინ აღარ იცის?

მოიგონეთ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხე-ხეობის ბატონთა ერთმანერთან მიხტომ-მოხტომა და მით ხალხის ანიაგება!

მოიგონეთ საქართველოს თვითარსებობის უკანასკნელი დღენი, ბატონიშვილნი რომ ერთმანერთს დაერიცნენ და მთელი ქვეყნის სიკეთე პირადგ ულის თქმას ანაცვლეს.

მაგრამ ისტორია სხვებს თუ ჭკუას ასწავლის, ჩვენ გზა-კვალს გვიბნეცს.

ეს ისე ძველია, რომ არც-კი გინდა ახსენო.

პარტიულოზა ჯგუფობრიობამ არა თუ **ეროვნულ ხალხოსნური** აღდო, ლამის **აღა მიანური** ღირსებაც დაგვიხშოს...

ამ სისხლის ნიაღვრების დროს სხვებო თუ გაერთიანებისკენ მიისწრაფიან, საკუთარი ქერისა და კერის აშენებას ცდილობენ, ჩვენ ერთმანეთის დანელებით ჩვენი ქვეყნის მომავალს საფრთხეში ვაგდებთ...

და აი ჩვენი **გზა-დაბნეულობის** შედეგებიც...

საქართველოს მიწა-წყალი იყიდება და უომრად სხვის ხელში გადადის!..

გლხეკაცობა უვიკობის მორევში იფლოზა!

აღარ არის დანდობა

დიდს ილიას შუბლი გაუგმირეს!

ბრწყინვალე აკაკი რა ქორებით არ შეამკეს!

დიდი ნიკო ვერ გობით დამნაშავეის სკამაძე მიიყვანეს, დაჰმგეს და შეაჩვენეს — ის ნიკო ნიკოლაძე, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე ჩვენს წინმსვლელობას, ჩვენს სულიერ-ნივთიერ აღორძინებას ემსახურებოდა, ჩვენს ბედსა და უბედოაზს უბით ატარებდა...

ბაღმაც კი იცის, ვინ არის ნიკო!

ილია, აკაკი და ნიკო, აი სამოციანთა სამება, რომელმაც სულთმობრძავე საქარეველოს განახლების სულა შთაბერა...

არ დაინდეს გ. ზდანოვიჩიც და სხ. რომელთაც კაცებადა ვსთვლიდით...

ერთი მეორეს სამარეს უთხრიან და ის კი არ იციან, რომ თვითვე ცვივიან სხვისთვის მოჭრილ სამარეში...

და რა სიტყვებით არ ამკობენ ერთმანერთსა მტრისა და ავადმახსენებელთა სასიამოვნოდ, —

ჩვენი უბედური ქვეყნის საზიანოდ..

არა, ჩვენს ხალხს უფრო დიდი წარმოდგენა ჰქონია ჩვენს მოღვაწეებზე, ვიდრე თვით მათ და აგრედწოდებულ „მოღვაწეებს“, რომელთაც სახელის მოპოება სვისი დამცირებითა ჰსურთ!

ჩვენი ქვეყნის ნაამაგდარო შვილნო, შეჩერდით მოლიპულ გზაზე ნუ შემდგარხართ და ერს თავქვე ნუ მიაქანებთ.

ჩვენს დღევანდელს მდგომარეობას შეთანხმებული, ყველა ცხოველ ძალთა შემოკრებილი მუშაობა ეჭირვება და არა გაუთავებელი შულლი!

ასეთი დრო ას წელიწადში ერთხელაც არ მოვა...

ისტორია პირუთვნელია და იგი სასტიკ პასუხს მოგთხოვთ...

ძრწოდეთ ისტორიის წინაშე!

ბატონი და ემა*

(ვუძღვნი საზოგადოების წამებულს ემას — გ. გუნიას)

ჩვენს დედა-ქალაქს ესტუმრა ა. ი. სუმბათაშვილი, და თბილისის ქართველმა საზოგადოებამ აღარ იცოდა, რითი ეტა ჰატევი, ედაღებიან, მოკალერსებინა უცხოეთში სასხედ-მოხვეჭილი თანამემამულესათვის...

ბ სუმბათაშვილის სტუმრობა დაუკავშირდა გ. დ. გუნიას იუბილეის შესახებ აღძრულს

*) ეს წერილი მიღებულია სამი კვირის წინად და თუმცა დრამ. საზ-ის საგანგებო კრებამ უკვე გადასწვიტა გ. გუნიას იუბილეის გამართვა, ამ წერილს მინც ვებეჭავთ ფართე საზოგადოების საყურადღებოდ.

კითხვას, და ამ ორმა სრულებით შემთხვევით ერთ დროს მამხდარმა ამბავმა განსაკუთრებული ფიქრები გამოიწვია ჩემში...

ა. ი. სუმბათაშვილი ჩვენი მოძიება, მხოლოდ იგი მისწვდა ჩვენს საზოგადოებას და მისი განვითარება, ცხოვრების კალანტო ჩამოეღობდა უცხო ქვეყანაში. ბ. სუმბათაშვილს თან წაჰყვა მხოლოდ შიდად ბუნება, რომლის განვითარებაშიც ჩვენი ცხოვრების ზიანობები ან ვითარ მონაწილეობას არ იღებდნენ არც წარმატებაში, არც შეფერხებაში. ეს შიდად მისი ბუნება უცხო ქვეყნის დიდმა საზოგადოებამ შეიკრა, დააფასა, განავითარა და გვირგვინით მოსილი რვათხვავა ჩვენ ორივედ დღით...

ჩვენთვის ეს უცხო სანახაობა იყო და აკი არჩევულებრივი ზემოთ შევხდით ამ სანახაობას: ბ. სუმბათაშვილი მივიღეთ, როგორც გვირგვინოსანი, როგორც სულაერი ბატონი! მამა-კაცნი შეჰყლის-სიტყვებით, მანდილოსანნი თაიგულალებრით,—ფერხთ გავუშალეთ, ვისაც-კი რა მოგვეპოვებოდა!..

უნებლიედ წარმომიდავ მეორე სურათი:

ამ ბრწყინვალე ზემოთ მოშორებით, ერთი რამის ზირას აწოწილია მრავალსართულიანი, მრავალ-დერეფიანი, მრავალ-დობე-ჯურღმულიანი სახლი, და ამ შენობის სულ ზევითა სართულის კიდევ ზევით-გახურებული სხენი... აქ, ამ გახურებულ რკინის სახურავის ქვეშ ცხოვრობს ჩვენი დამასხურებელი მოღვაწე და მოჭამავიკრე-უმა — ვაღერიან ლევანის-ძე გუნია...

დაად, —ბრწყინვალე ზემოთმა გამახსენა ბნელი ჯურღმულები და გახურებული სხენი!.. ჩვენმა ხულიკრმა ბატონმა ა. ი. სუმბათაშვილმა — ჩვენი მოჭამავიკრე — ვ. გუნია!..

გამახსენდა ეგვლა ეს და ქართველ საზოგადოებას რგულ მხურვალე ზემოთის მოღვაწე პირის პატივისცემად უმარლი მოებას: დარჩა მხოლოდ ტრავარტული სიტყვა-თაიგულები, მუფირალა დემონსტრაცია, ჩვეულებრივი ნადიმის ჭარალე-თარალე!.. სტუმარსაც პატივი ვეცით და ჩვენიც დრო სიამოვნებით გავატარეთ!..

ბატონაც, — სტუმრის პატივისცემა კაცია; არც ნადიმობა დაქძახვის მიწის შვილს, მაგრამ უბრალო გრძობას ჩამოვაშროთ მადალ-ფარდოვანი ბიარალი!



მ ს ა ხ ი ბ ი

ანდრო მურუსიძე

ზნის თიატრში მიწვეული.

როდესაც ბედნიერებით ამყავდა თავაწვეულს მგოსანს ვარდით გზას ვუფენთ და იმავე დროს ფეს-შიშველად მოტეხულს რბილს ვრთავთ სხვეის სუფთა ჭკერით ისაზრდოვოს. —

როდესაც ზირველის საკუთარს ავტომობილში მზად ვართ შეგებათ და რვამას ძახილით ქვეყანა დაფურთოთ, მხოლოდ მეორეს-კი „ნებასა ვრთავთ“ გახურებულ სხვენის ქვეშ გაუძლოს როგორმე სრულებას, —

მაშინ საზოგადოებრივ სიყალბეს ვერავითარი ბიარალი ვერ დამფარავს!

შესაძლოა, ვინმემ გაიფიქროს, — რა შესაძარბელია ვ. გუნია ა. სუმბათაშვილთანაო!

ასეთი გაფიქრება მხოლოდ ამას დამტკიცებს, რომ ჩვენ ვფიქრობთ უფრო თვალებით, ვიდრე ნამდვილი დაგვირგებთ!..

უტუუარმა ნიჭმა ბ. სუმბათაშვილს თავი ვირგვინით შეუმკო, მაგრამ გადათვალერეთ ვ. გუნიას მრავალ-ფეროვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა; გაისხენეთ, რომ მთელი თავისი არჩევულებრივი ძალა-ენერჯია, სიმტკიცე, შრომა შეაღია ჩვენს ცხოვრებას, და თუ შეგიძლიანთ, ეგვლა ამას თავი მოუყარეთ ერთ ჭამში და ასწონეთ!..

ა. ი. სუმბათაშვილი სიერმიდანვე გაუსხლტა ხელიდან ჩვენს სრიაკ ცხოვრებას: მისმა ნიჭმა ზოხიერი ნიადაგი იზოვნა უცხოეთში და თამამად გაიდგა იქ ფესვები. დიდ საზოგადოებაში განიმტკიცა ბრძოლით ზსისათი და როგორც მატრიალურად, ისე სწიებრივად უხვად იქმნა დაჯილდოვებულო. დუკმა პურსკედ ფიქრმა არ ჩანთქა მისი დრო, ენერჯია, ნიჭი; სარდაფ-სხენები ცხოვრებამ არ დაუნობტაფა, არ გამოუფიტა არც ერთი მისხალი შემოქმედებისა. მისი სული და ხორცი განთავისფლებული იყო

ცხოვრების გუგუნიან წვრილმანობისაგან და მთლად მიხურობილი მალაღ განვიცარებას. განათლებული ევროპა ფეხქვეშ მოიღო და ხელფან-მნათობთა შორის თითონაც სწორ-მნათობდა ჭკობილობდა თავს; გაღლებული ნიჭი არსად და არავისთან არ ჭკობებოდა; არ იკრძალებოდა და ნავლ წაუურელი თამამად აფრქვევდა შექს! შეჭხედეთ ბ. სუმბათაშვილს: რათადენი სითამამე, თავისი თავის იმედი, თავისი ძაღლის შეგება იხატება მის გარეგნობაში..

ახლა გადახედეთ ვ. გუნიას..

მისი მსოფლიო მოქმედება ქ. თბილისში. საშუალო სასწავლებელშივე მოკლე სწავლის მიღების სიზმარი და იმ სიყრმიდგან დღევანდელ დღემდე მისი ცხოვრება წარმოადგენს უსჯუნებელს ფართხალს ოთხ კვადრატს შუა.. ღუშა ზურის ძიება, ოჯახის გაძლივდა, სხეუნი, სარდაფი და განუწვევტელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა აუტანელს ბირობებში ამ მოწამებრივ ცხოვრებისთვის მან მიიღო ჯიღდოდ ნივთიერი სიდატაკე და ათასგვარი ზნეობრივი სასჯელი; სანატრო ნამდვილ ბრძოლას მოკლებულმა ვ. გუნიამ ძალ-ღონე შეაღდა ჩხავანა კატების აბუზარს ენაიღს; სული და ხარტი იღოდა მოსკულ უსუფთაო წვრილმანობის მოკვრებაში, **არც ერთი წუთი დამშვიდებული სულის შემოქმედებისთვის**.. რაღაც ევროპა, განათლებულ ქვეყანათა სასწავლო-მოქმედება ვ. გუნიასთვის მსოფლად წიგნებიდან ამოკითხული ზღაპრებია;.. თბილისშია—არ იცის, რამელ სახალხო თეატრის დაფუთილ სტენაზე განასახიეროს „დაღატო“.. წავა ბრეინციაში—არ იცის, უკან რაგორდა დაბრუნდეს, და ესე მუდმივ წვრილმანობაში ჩაბმული, საზოგადოების გუგუნიან სარეცხის მუდმივ რეცხვაში თითონაც, კვლე არ არის, ხერდავდება; ნიჭი ქუცმაცდება, კრთება, უფერულდება..

შესედეთ ვ. გუნიას, რადესაც ის საკუთარი.. ფეხებით (კინაღამ აუტომობილი წამოიძვდა!) მიემგზავრება ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში: მკვიდრ ს, შეუდრეკელს, მაგრამ თავჩადუნულს რაღაც საიდუმლო ტანჯვათა გულჩათხრობილობა აწერია ზედა.. არა, ეს სუმბათაშვილის მსგავსი თამამი ოლიმპიელი არ არის!..

ახლა წარმოიდგინეთ ა. ი. სუმბათაშვილი

ვ. გუნიას (ფე, კუშაკს!) ბედში: იგივე ბუნებრივი ნიჭი თავისი, მსოფლად ცხოვრების ვოფელი ბირობები ვ. გუნიასი: მუდმივი გაჭირვება, მატრაკვეცებთან აუცილებელი კინელობა, სახალხო სტენების ძონები, რაღებისთვის ნათხოვარი შავვრები და სხვა,—რა იქნებოდა დღეს ა. ი. სუმბათაშვილი?—უკეთეს შემთხვევაში იგივე ვ. გუნია!

დაიდა, ბ. სუმბათაშვილი გაუსხლტა ხელიდან ქართველ საზოგადოების ცხოვრებას და ის დღეს ოლიმპიელია; ვ. გუნიას შეეღია ჩვენს ცხოვრებას და დღეს იგი, ჩენივე ფეხთა გათელილი, თვალსჩინო მიცვალებულთა მმარხვი უსტაბაშია!..

ვ. გუნიას მსხვერპლია ჩვენი ცხოვრებისა და, მიუხედავად აუტანელ ბირობისა, მაინც იმდენად დიდი კაცია, რომ მისი ღირსეული დაფაება, მისი პატრიოტიზმი ჩვენთვის ბუნებრივ გაღებულებას უნდა წარმოადგენდეს..

რისგან არის რომ ერთს დიდს კაცს ჩვენ მოწიწებით თავს ვუსრით, როგორც სულიერს ბატონს, მეორე კი გვაგონდება მსოფლად მაშინ, რადესაც ვისივე შინაინი დამარხვა გვსურს? ნუთუ ვ. გუნიას შინა, ქვეყნიური ხელმძღვანელობა სხვა უფრო რთული საქმისთვის არ გამოგვადგება? განა სუმბათაშვილს შეგვადრებდათ სამკლავობარო პრეტენციების უსტაბაშიბას?—არა რატომ?— იმიტომ, რომ ბ. სუმბათაშვილი დიდი კაცია და ჩვენც დიდ კაცად ვთვლით! გუნია-კი ისე—სანატრიო მოჯამაგირია..

დასკვნა: 1) საზოგადოება არ უკვირდება ვ. გუნიას მთელს წარსულს მოღვაწეობას,—განუწვევტელს, ჩემს მოღვაწეობას, რამელიც ძალი ძალად თვალში არ ეჩხირება ფართო საზოგადოებას. ვ. გუნია წარმოდგენილი ქვევთ უმთავრესად, როგორც მსახიობად (რასაც მე შეცდომად ვთვლი), და ის-კი ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ადგილს ვუთმობთ ცხოვრებაში მსახიობებს

2) ვ. გუნიას შინაური მღვდელია, და შინაურს არქიელსაც-კი შენდობა არა აქვს.. (ა. სუმბათაშვილი გარეული არქიელია!)

3) ყველგან და, განსაკუთრებით, ჩვენში ფართო საზოგადოებას იმდენად არა აქვს თავისი აზრი, შესედულება და მისთვის თვით ბირ-

გნებას იმდენად არა აქვს მნიშვნელობა, როგორც
 ზინტონების გარშემორტყმულ შარავანდელს;
 ამ ცოტა ხანში დახანჯული სეიმ-სიტუვა თაი-
 გულეობე ეძღვნა უფრო ა. ი. სუმბათაშვილის
 გვირგვინს, ვიდრე მის უტუყანს ნიჭს.

რა ბრწეინვალე გვირგვინათა აქვს თავი შე-
 კუული გ. გუნიას? — არაფრით!.. მოსკოვის გა-
 შეტების რედაქტორ-გამომცემლად ის არ უთ-
 ფილან, რუსულ ენაზედ არ უწერია, რუსულ სტე-
 ნაზედ არ უთამაშნია, რუსული ზრესა მის არ
 იტნობს და არც უთქვამს-რას, ბეღინსკი გერცენ-
 კრახოტკინებთან შეგობრული ნაწინაობა არა
 წქტინია—მის რა?! სად არის ან შარავანდელი ან
 სენსაცია მანინი?! ის ხომ არა, რომ გუნიათ
 მთელი თავისი სუფიერი სიმდიდრე ქართველ
 საზოგადოებას შესწირა და თითონ-კი თავის
 სოროში შემძვრალა! მაცრამ...

ერთი სიტუვით გ. გუნიას ბჭეურიადა მარ-
 კა არ აკრავს, ეს კი აუცილებელი ზინტონის სა-
 ზოგადოების უაღტატებისთვისა...

ამისათვისაც არა გვჭერა, ვითომ ჩვენ სამი
 კვირის განმავლობაში ვინა-ყარა გადავდიოდით
 ბ. სუმბათაშვილის ნიჭის და დამსახურების
 აღსანიშნავად. ჩვენ მხოლოდ კეკელუცად თვალებს
 ვუყუტავდით Южнн-ის გვირგვინს. .

გ. გუნიასთვის-კი იქამდის გვწვდება წელი,
 რომ მთელი მისი მადეწეობის იუბილეის გა-
 დაწვევტას ბ. სუმბათაშვილის ერთგვარი ზრე-
 ტაქტიც-კი დასჭარდა!..

განა ა. სუმბათაშვილმა-კი ვერ იგძინა, რომ
 ქართველ საზოგადოებას შინ არავითარი სამლო-
 ნგვლო არ მოეზოვებ და მზად არის უცხოეთის
 კერძებსზედ იყაროს თავისი ფუქსავატი ფინი?!..

ნ. სოყაბერი

იმ ვნახე

... და იქ ვნახე. იღვა ჩანჩქერის პი-
 რას, ყვაილებით სქლად ამოქარგულს ტყის პა-
 ტარა მწვანე მდელოზე, — იღვა და ამშვენებდა
 დედამიწას, უფრო აშუქებდა, სინათლეს უმა-
 ტებდა მზიან დღეს... ამღლებული მნაობი
 ტყის წვეროდან მოცხვად დაჰყურებდა იმას,
 ახვევდა სხივებს, უქარგავდა ცისფერ სამოსე-

ლს, აწნავდა ოქროს ძაფებს ჩამოშლილ გი-
 შრის თმაში, რომელზედაც ცფრქვია ათასფე-
 როვანი მარგალიტები ნამის წვეთებისა, თი-
 თქო ვარსკვლავებს დაეყარათ იმისთვის ცრე-
 მლები, როცა ეთხოვებოდნენ ცის მშვენეირს
 ქვეყნად გამოგზავრებისას.

იღვა ყვაილებში; ღვთიურ სახეზე ემჩნე-
 ოდა უზომო სივდა, და მღეროდა — ციურ ხმით
 ცის ნანინას დაჰკენსოდა ოცნებით გატაცე-
 ბულს არე-მარეს, და იმის ნაღვლიანი ჰანგე-
 ზი, ქვეყნისადმი სავსე სიყვარულით, ქვეყნი-
 სთვის ცაში ამოსხმულ ზარის ხმასავით ნელის
 კანკალით ვრცელდებოდა გარშემო, საპასუხო
 ამონავენეს იწვევდა სადღაც შორს და იმარ-
 ხებოდა სამუდამოდ ძველი ტყის საიდუმლო-
 ებიან სიღრმეში. არ იმძროდა სურ-ელოვანი
 ჰერი; ერთ ფოთოლსაც ვერ გაეზენდა დაერ-
 ღვია შრიალით საყოველთაო ღუმილი

ცრემლივით სუფთა ჩანჩქერს შეეწვეცო
 იმის წინაშე მუღმივი ბუტბუტი, — არ ესაყვე-
 ღურებოდა სხვა და სხვა ფეროვან წვრილ
 ქვებს და ბალახებს გადაწვდილ თავთავებს. —
 ფრხილად, მოპარვით გადაეშალა ბროლი, სა-
 რკე და სტაცებდა ცის მშვენებას ღვთიურ სა-
 ხეს, — სტაცებდა, რომ ეანდერძნა ქვეყნისა
 თვის მუღამ საოცნებო და საძებარი...

და იქ ვნახე სულით ტანჯულში, მიველი,
 ვეცი თაყვანი და შეესძახე:

— ცის ასულო, ველირსე და გიზოვე უნა-
 ხავი, რომლისადმი სიყვარულის მდა ავი ცე-
 ცხლი მინთია გულში, რომელიც ერთხელ მო-
 მელანდე, მომზიბლღე, დამიზონე, ამავეს იმედით
 და გამზადე მუღმივი მეოცნებე და მძებარი...
 შენ დაგეძებდი ქვეყნის სივრცეზე, სევლით
 გეძახდი ბნელ ტყის ბურულში, — ნიავს გაჰქო-
 ნდა ჩემი ნაღველი და ძახილს ჰქარგავდა ნა-
 ძვების შრიალში... შენზე ვსტიროდი მშფო-
 თვარე ზღვაზე, მქუხარე ტალღებს ვეკითხე-
 ბოდი, მაგრამ ნუფეში ჩემთვის არ იყო და
 კვლავ გეძებდი, ისევ გეძახდი... და აჰა, ვნა-
 ხე ქვეყნად ჩამოსული ცის მშვენება, მზის
 ასულო... და გვედრები, ნულარ დასტოვებ
 ბედ კრულ ქვეყანას, რაკი მოსულხარ — და-
 რჩი მიწაზე. . შენ შეგზარის ტყე და ველი;
 მზე გიცინის, გამკობს ისეც ღვთიურს; ყვაი-

ლებიც, ხედავ დაგხვედრან და შეჰნატრიან შენს მშვენიერებას.. ანგელოსისებური ხმა სწვდებოდა სოფლებს და ქალაქებს, და იქ ალტაცებით გისმენენ,—შენს ჰანგებში ეხატებათ სხვა ქვეყანა, სხვა ცხოვრება, სიყვარული და მშვენიერება... ოჰ, რა ბედნიერი ვარ, ცით ჩამოსულა!.. რა ბედნიერია ეს ქვეყანა, სადაც შენ აღმართავ დიდებულ ტახტს სიყვარული-სა!..

ასე შეესძახე ჩემს სათაყვანოს და განვიზრახე ახლოს მივლა.

მაგრამ შემომხედა, შემომხედა ისეთი, განცდით სავსე თვალებით, ღვთიური სახე ისე მოგერუბლნა არამიწიურ კმუნვას, რომ გაქვევებულივით ვიდექი.

და მითხრა:

— არ მომეკარო, ქვეყნის შვილო, არ გამხადო მოპაკედავი... მე ვარსკვლავნი შორით მქვრტენ და სტკებებიან ჩემი ნახვით, განვზორდები—ცრემლებს ღვრიან, წუთებს სთვლიან, როცა მნახვენ... ეს ქვეყანა კი მე არ მიმიღებს და, რომ მიმიღოს,—მეც დამამცირობს... აქ ვერ აღმართავ სიყვარულის ტახტს და ქვეყნის შვილსაც ვერ შევიყვარებ...

რა მოვისმინე, ასე შევსხივლე იმედ დაკარგულმა:

— ვაი ამ ქვეყნის შვებას და ჩვენს ცხოვრებას! თუ ქვეყანა ძველად დარჩება და კაცის ცხოვრებაც არ შეიცვლება, თუ უნაყოფოა ნატვრა ჩვენი ლავებარდოვან ცის, თუ ამაოდ შევსტკერით ცხოველ მყოფელ მზეს, ვარსკვლავებით სქლად ამოქარგულს ცის უფსკრულს დი რაღაც განგებით კი დაწყევლილნი ვართ, რომ დუხტირს ცხოვრების ქუჩუიანს ტალღებს მუდამ ვებრძოლოთ, ვერ დავსძლიოთ და დაქანტულნი საზღუდამოდ შთავინთქათ სულიერ სიკვდილის შავ მორევში,— მაშ რად მოველინე ბედკრულ ქვეყანას? რად ასმინე კაცს ციური ნანინა? ვარსკვლავთ შესაფერ ღვთიურ ჰანგებით რად აუღელვებ ტანჯული სული, აწმყოს მოსწყვიტე მასი გონება, იმედის სხივი კვლავ გაუღვივე, — შეუბრალეებლად რად მოტაცე ოცნება და მიაკარ უიმედო მომავალს, უნაყოფო ლოდინს?... ისევ გაჰქრები სიზმრად მოსული... მაგრამ... ოჰ,

დახე: ეს ჩანჩქერი, ბნელი ტყის სარკე, ყვავილი ცრემლით ამოსხმული, ცის მშვენიერებას სახეს გტაცებს, რომ შეინახოს და ზოგჯერ უჩვენოს სულით მძებნელს... გაზაფხულზე ტყის გულიდან, ტყის შრიალში ამონაკვეთს, მთის ნიაფი კვლავ ასმენს მას ციურ ჰანგებს. და აქ, ხედავ, ყვავილებზე მოელვარე ბროლის წვეთებს,—ამათაც მოუპარავთ შენი სახე, რომ მალე გაჰქრენ და თან წაიღონ შენგან ძვირფასი სახსოვარი... კვლავ დაეპყრებიან ბალახ-ყვავილებს. კვლავ აათამაშებნ მზის სხივებში ღვთაება ლანდ!—და ვაი შენს მოტრუილეს, ოცნებით გატაცებულს და უამედლო მძებნელს!..

— ქვეყნად მოვსულვარ — ვარსკვლავებს ვეძებ, სევდითა ვმღერი და მათ ვეძახი, მაგრამ ფუჭია ჩემი ძახილი: ვინ გაიგონებს, თუ არსად არის...

სოქვა და აქვითინდა, ცვაილებ, დააყარა ცხარე ცრემლები, შემომხედა, მერე მზეს მიუბრუნდა, გაუცინა და დადნა სხივების კონაში.

მივარდი—და აღარ იყო. იქვე დავეცი და დავიყვირე—სად გეძებო, სადა?!..

რგვინი, 27/III 16 წ.

გაბრიელ გოგუაძე

ქართულ დრამატულ საზოგადოების საგანგებო კრება

ქართ. დრამ საზ ის საგანგებო კრება.

ბ. დ. შურულის თავმჯდომარეობით, შესდგა შაბათს, 28 თიბათვეს ასალი კლუბის დარბაზში თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ი. კუდოშვილის, გლ. დარჩიაშვილის, ალ. შინინაფისა და ალ. ეიფშიძის სსოფნას.

ასალ წევრთა შესასებ გაკეობის დადგენილებების თანხმად კრებამ ერთხმად გადასწვიტა: ასლად მიდებულ წევრებს არჩევისთანავე მიენიჭათ სათათბირო ხმის უფლება, ხოლო შემდეგ კრებაზე—გადამწვეტი ხმის უფლება. რომელი წევრიც წლის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შეიტანს, წევრობის უფლებას

ჭკარავს. წვერობის უფლებების ადგენისათვის უფლება დაკარგულმა წვერმა უნდა გადაიხადოს გამოსტოვებულ წლების საწვერო გადასახადი.

ვალ. გუნიას იუბილეს შესახებ. გამგეობის მოხსენებების თანახმად კრებამ ერთხმად დაადგინა: ამა წლის შემოდგომაზე გაიმართოს დამსახურებულ მსახიობის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის გ. გუნიას ვნ წ. მოღვაწეობის იუბილე; დაიწეროს გ. გუნიას ბიოგრაფია, რომელიც იმავე დროს მიმობილავს იქნება ჩვენი სასცენო სელოვების აღმოსაზრების ამ იუბილეს მოსაწევობად გამგეობის დასახმარებლად აიხიას კომისია (გნ. ან. ალ. მანაბლის, გ. აბაშიძე, ი. ე. ელეთთერიძე, ალ. რ. წუწუნაძე, ალ. შანშიაშვილი, ნ. გოდირიძე და ს. ახვლედიანი). გამგეობას უფლება მიეძღვება საჭიროებისა, მებრ კომისიაში სხვა პირნიც მოიწვიოს.

სათეატრო სეზონის გაძღვლა კრებამ გამგეობას მიანდა. ამ საქმეში გამგეობის დამხმარედ აიხიეს: კნ. ან. ალ. მანაბლის, ილ.

ზურაბიშვილი და კ. შათირაშვილი.

პენსიები დღემდე კდლოდათ შემდეგ მსახიობთ: გ. აბაშიძეს—840 მან. წელიწადში, მ. მ. საფ-ახაშიძისას—600 მ., კ. მესხის ქვრავს—300 მან. გამგეობას წინადადების თანახმად კრებამ ერთხმად დაადგინა: ამა წლის 1 თებერვადან წლიურად ეძლიეთ გ. გუნიას და გ. ალ მესხიშვილს თითოეულს 840 მან. ავადმყოფ მსახიობრეკისორს ვლ. შაღიკაშვილს დაენიშნა თვეში—50 მ., რომელიც უნდა ეძლიოს ერთი წლის განმავლობაში. საპენსიო თანხის გასაძლიერებლად ყოველ წლივ მთელ საქართველოში უნდა გაიმართოს მსახიობ-პენსიონერთა დღეები, დრამატული საზოგადოებათა და წრეთა თანხმობით. საპენსიო ხარჯის გასტურებას სხვა დრამ. საზოგადოებათაც უნდა იკისროს.

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ი. შ. ჭანტურია, ირ. რამიშვილი და გ. მაჭავარიანი. —ლი.

მოდლიაულ (გაგრძელება)
გზაზე იხ. „თ და ც.“ № 26

ქეთ. შეირთავდი?! მერე როგორ შეირთავდი, როცა შენი გული სხვას ეკუთვნოდა? ოხ, რა შემცოლდე იქნებოდი, მაშინა! არა, მე არ შემიძლიან ეგ ჩავილინო!

მაშო. არა, ქეთინო, შევირთავდი, გაუწევდი სამავალითო ოჯახის დედობას, რითაც ჩემს დამღუპველს დაუმტკიცებდი, რა რიგად მოტყუებულებოდა თავის საქციელში. შენ პალიკოში არასდროს არ მოტყუვდები. არც ის მოითხოვს შენგან მომეტებულ აღფრთოვანებულს სიყვარულს, რადგან თავშეწირულია! შენი ნიჭიც წინ წაიწევეს, გაორკეცდება. ხომ გახსოვს ერთ დროს რა ნაირად ზრუნავდი მისთვის, გაიხსენე? დაუმბრუნდი იმ დროს შეაბრალებ პატროსანი ალაპიანი, მიიღე ტანჯვით გამოწვდილი ხელი იმისგან, რომელიც პატარაობიდანვე შენს მზეს და მთვარეს ფი, ცულობდა!

ქეთ. არა, არ შემიძლიან! ჩემს გულში ოქროს სიყვარულის ლამპარი აღანთო და აღარ ჩაქრება იგი!

მაშო. ეგ სიყვარულის ლამპარი ყალბი გამოდგა და ვერ გაანათა!

ქეთ. ენე მაშო, მაინც არ შემიძლიან დაევიწყო, არა და არა!

მაშო. ქეთინო, ერთ რამეს გეტყვი და ეს მაინც აპირებ.

ქეთ მითხარი
მაშო. პალიკომ მთხოვა, ერთი ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი ნება დამართოს, რომ მოვახსენოვო. იცი ის აქ არის, დედას ელაპარაკება და მელოდება რა პასუხს გაუტან.

ქეთ. კარგი. მოვიდეს. მითხრას რა აქვს სათქმელი! მხოლოდ აღარ გაიხსენოთ არც შენ და არც დედაჩემმა პალიკოს შერთვა?!
მაშო. კარგი. (გაღის)

ქეთინო. (თვალებს სივრცეს შიანერბს. დიდი ჰაუზა.)

II

პალიკო და ქეთინო.
პალიკო. (შემოვა) ნება მიბოძეთ, კნიაენა, მოგელაპარაკოთ ერთს საგანზე.

ქეთ. შეგიძლიანთ, მაგრამ ძნელად თუ დავაკმაყოფილებ თქვენს საკითხებს.

პალ. არა, მე მინდა მოგელაპარაკოთ მარტო იმ საგანზე, რომელიც ერთად ერთი საშველი ღონის-ძიებაა, რათა თქვენი ტანჯვანალველი შეასუმბუქოს, გაქროს!

ქეთ. ჩემი ტანჯვანალველი შეასუმბუქოს?! მერე ვის, ან რას შეუძლიან?

პალიკო. ოქროს დაბრუნებას... მის თქვენთან მახლობლად ყოფნასა! პატროსნებას გეფიცებით, გეფიცებით მას, რაც კი ჩემთვის

ჩემო მუხთალო გელო

— ჩემო მუხთალო გელო, რათ ხარ მიზეზიანი, რათ დამაგდე იმელო, ასე გულ-სევდიანი? ვსტირი მე ჩემს ტკბილ წარ ულს, ჩემს ტანჯვას წინ ვეწევი: სიყმაწვილეს დაკარგულს—შვებას ვერ დავეწევი! გულ-წრფელად ვის ვუყვარდი, რომ მტკიცედ შევიყვარო? ჩამოკნაქ. ჩემი ვარდი—ოცნებისა სამყარო! მე რომ გულს დავეძებდი, ის ჩვენში არ ყოფილა: მხეცი დაუნდობელი კაცის სახით შობილა!

ეჰ, ვ-ნ მასაზრდოებდა დღემან გულის უბეში, თუ ყველა დ-მტოვებდა, მიმუხთლებდა ნუგეში? მიპასუხეთ: სად არის სათნო ადამიანი, გრძნობებით რომ არ ვაქრობს. სულით სხივ-მადლიანი?!

მ-გრამ ძირს სევდის ფარდა, ძირს მეზვერე ვაჭარი; ძ-რს ყველა, ვინც მიყვარდა ფლოდი და საზიზღარი! ვსტირი მე ჩემს ტკბილ წარსულს ჩემს ტანჯვას წინ ვეწევი: სიყმაწვილეს დაკარგულს—შვებას ვერ დ ვეწევი!.

დარია ახვლედიანისა

წმინდაა ქვეყანაზე, რომ თქვენთვის, თქვენს დასამწვიდებლად თავი არ დაეზოგო, ნურც დაჰფარავთ მას, რაც ჩემთვის უკვე ღლესავით ნათელია. მიგულეთ თქვენი გულის შემატკივრად, მომენდეთ, როგორც, თქვენს ძმას. მე ყველაფერს შევისრულებთ.

ქეთ. დიდად გმადლობთ, პალიკო, მაგა-ში ექვი არას დროსაც არა მქონია, დარწმუნებული ვარ, ჩემთვის სიკეთე გსურთ მაგრამ სამწუხაროდ, მაინც ვერ შეიძლებთ ჩემს შევლას.

პალ. ვეცდები... აქამდისაც შევასრულებდი, რომ თქვენგან ნება რთვის ლოღინი არა მქონოდა.

ქეთ. რაზე?

პალ. წავიდოდი ოქროსთან, მოველაპარაკებოდი, გავიგებდი მისგან ნამდვილ მიზეზს, იქნება სრულიად სხვა ფრივ არის საქმე ჩვენ კი ტყუილად ვიტანჯებით!

ქეთ. ასე ღვთის გულისათვის ნუ იზავთ მაგას! ამაზე მეტად ნუ დამღუპავთ, ნუ დამამდაბლებთ! როგორ? თქვენ წახვიდეთ ოქროსთან, სთხ-ვოთ, იქნება კიდევაც შეაბრალოთ ჩემი თავი?! რას ემგვანება ეს ყოველივე? არა, არა! თუ გინდათ ჩემი მეგობრობა, პალიკო, თავი დაანებეთ მაგ განზრახვას, რადგანაც ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია! ოქრო თვალსაც ვეღარ მომკრავს, არც სიჭირათ მი-

სი დაბრუნება, იმის საქციელის შემდეგ, ნუ სწუხართ, ჩემო კეთილო მეგობარო! ჩემს უბედურ ხვედრს, მევე ვზიღამ!

პალ. თქვენი ნება იყვეს. თქვენს სურვილს წინ ვერ აღვუდგები. ჩემი ნატვრა კი არის, რომ მოისვენოთ, მ-გრამ როგორ მოისვენებთ, როდესაც ყოველთვის არ გაკლიათ გულის გამგმირავი ამბები იმ პირზე, რომელიც აგრე ძლიერ მოქმედობს თქვენზე!

ქეთ. არა უშვებ! მე ვიცი და ჩემმა საქმემ. ისე არ მოვდუნდები, რომ ვერ დავინახო ადამიანის ავი და კარგი (მოსაწეენი სიჩუმე ჩამოგაჩაღება)

პალ. კნიაუნა!

ქეთ. რა გნებავთ?

პალ. თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან. მოვალეცა ხართ ასე მოიქცეთ, რადგან თქვენი თავი მარტო თქვენ არ გეკუთვნით. აქედან უნდა წახვიდეთ!

ქეთ. წავიდე? მერე სადა? ვისთან? რა მეგულება ამ სოფლის გარედ?

პალ. არამც თუ ამ სოფლის გარედ, არამედ შორს. შორს თვით საქართველო-ზედაც.

ქეთ. მერე? წავიდე იქ, აქ კი დავტოვო ნათესავები, მეგობრები! წავიდე იქ და აქ დავტოვო ჩემი. . (გასწეება)

* * *

რაღ უენ დამშორდი, ეს ტურფავ, თვალნი ცრემლის ღვრიან ცვარადა,
 აწ დაკოდილი, ეული დავდივარ მთა და ბარადა:
 ყველასა ვკითხავ შენს ამბავს, მოკითხვის დასაბარადა,
 ნეტა სად წახველ, მიჯნურო, ვის უერთგულეზ მარადა?...

მე კვლავ ვესტუმრე ხუტუტ ბაღს, სად შეგხვდი პირველ მღიმიარეს,
 ყვავილებს ჰკრეფდი სინაზით და შუქსა ჰფენდი იმ არეს;
 მხესა სწუნობდი, მაგრამ მზე არ გშორდებოდა წამითა,
 და მთვარე ბაღის დედოფალს სოცილს გაფრქვევდა ღამითა!..

მომიახლოვდი ღიმილით, ტრფობით მომიძღვენ სოსანი,
 და იმის შემდეგ შევიქმენ შენი მონა და მგოსანი;
 ბევრჯელ, შეგიქე სიტურფე, გიშრის თვალეზი გრძნეული...
 ვავლახ! წახველ და წაიღე ჩემი ფიქრების რვეული...

ი. დაროშვილი

პალ. (უფველ სიტუვას ხაზ გსმით ანბო-
 ბს) დიად, თქვენ უნდა დასტოვოთ აქ ისინი,
 რომელთაც ვერ გიცნეს, ვერ დაგაფასეს, არ
 გაღვიარეს დედოფლად; დიდების გუნდრუკი
 არ გიკმისი უნდა წახვიდეთ იქ, საცა უმან-
 კობას ღირსეული ფას აქვს, თორემ თუ აქ
 დარჩებით, ვერ იცოცხლებთ, დასკლექლებით და
 ეგ ხომ საწყენია მახლობელთათვის, რომელი
 შორის იქნება აღმოჩნდეს ისეთიც, რომელმაც
 ვერ აიტანოს თქვენი დაკარგვა!

ქეთ. მერე, პალიკო, გჯერათ, რომ მი-
 ვახწვე თქვენგან დნიშნულ წმინდა ადგილს?
 დარწმუნებული ხართ, რომ იქაც არ წამყვე-
 ბა წამება, ტანჯვა-ვაება?

პალ. თქვენ უსათოოდ მიღწევთ ბრწყი-
 ნვალე ადგილს. მჯერა, მწამს აგრედვე, რომ
 ეგ ნადველი და სევდა დიდიხნის განშორე-
 ბული წვეულია, მაგრამ ძალ-ღონე უნდა მოი-
 ხმაროთ, ზურგი შეაქციოთ, ხორც-შესხმულ
 უმადურ არსებათ! ნიქს ემსახურეთ, ზარდ თ
 იგრ, აფართოვეთ. იქ, სადაც მე ვიქნები მ.რ-
 ტო, იქ არის თქვენი ძლიერება.

ქეთ. ნიქი ვასაზრდოვო, მხატვრობას თა-
 ვი შეიწვირო? რითი? ჩვენი ქართველური
 წიადაგ გამოცლილი ოცნება ხომ არ არის,
 პალიკო?

პალ. არა, ქეთინო, ამ ოცნებას, ამ სუ-
 რვილს, მტკიცე წიადაგს აღმოუჩნს თქვენი

ძმა და მეგობარი პალიკო! მთელ თავის მა-
 მულის შემოსავალს თქვენ მოგართმევთ, და
 გეტყვი: ძვირფასო დაო, აი ყველა ეს იყვეს
 თქვენი ქირის სანაცვლო, ისარგებლეთ მით,
 როგორც თქვენ გენებებათ, მეც მიმსახურეთ,
 როგორც უკანასკნელი მონა!

ქეთ. გმადლობთ, პალიკო, მაგ მსხვე-
 რპლისათვის. ჩემს თავს არას დროს ნებას
 არ მივცემ ვისარგებლო მაგით მაშინ, რო-
 დესაც მაგიერის გადახდა არ შემიძლიან!

პალ. არა, ქეთინო, არაფერში არა გთხო-
 ვთ თანაგრძნობას. მარტო ნუ დაიშურებთ
 მეგობრულ განწყობილებას და როსიყვარულე
 ძალ მიგულეთ. პატიოსნებას გეფიცებით,
 ამაზე, მეტის თხოვნით, თქვენ არ შევაწუ-
 ხოთ. მიიღეთ ჩემი რჩევა და წადით იტალიას.

ქეთ. პალიკო, ძვირფასო მეგობარო, მაპა-
 ტიეთ... ვერ წარმოიდგენთ, რა უბედური ვარ,
 მაგრამ მაინც გეტყვით დაუფარავად.. რომ
 ოქრო მიყვარს გაგიყვებით, უნებურად!

პალ. მერე ვინ გიშლით, ძვირფასო? ვინ
 გაყვედრით სიყვარულს?

ქეთ. სინდისი, გონება... გული გატა-
 ცებულაი, არავის სიტყვა-ჩვევას ყურს არ
 უგდებს... შემბრალებთ!

პალ. ჰო-და კიდევ მაგისთვის უნდა წა-
 ხვიდეთ... მოიწოდეთ ხასიათის სიმტკიცე მი-
 ენდეთ თქვენს ერთგულ ნიქს, მაშინ უფრო

ჩემი სიზმარი ახლა

ალექსანდრე იმ დღეს ძალიან მორიდებით მავალბდა, რომ ბანკში საქმეები გამეგო — თუ ფეხი არ დაგიშლის ბანკში შეიარეო. ორჯელ მომიხდა ბანკში შესვლა.

სულ ათი წუთი არ გასულიყო, რომ ერთმანეთს დავემორდით და რაც ამბავი მოხდა იმ დღეს ვერა გავიგერა, რადგან დიდუბეში ვცხოვრობ.

არხეინად დავიძინე.

ძილში გამოშეცხადა ქალი თეთრი სამოსელით და ხმა-მალლა მომესმა: „ალექსანდრე აღარ არისო“

გამეღვიძა. თენდებოდა. უცნაური იყო

ჩემი სიზმარი, თუმცა ბევრჯელ ამხლოდია, მაგრამ არა მჯეროდა, შეშფოთებული კი ვიყავი.

შვიდის ნახვარზედ გახეთები მომიტანეს, დანდობილი ვკითხულობდი, არას მოგელოდი. „საქართველოს“ მესამე გვერდზედ თვალი მოვკარ: ალექსანდრე უეცრივ გარდაიცვალაო. ზეზე წამოვიქერ, მეტის სიმკაცრით ტუჩები ჩავიკვნიტე, დავიძახე: ჩემი სიზმარი ახლა!

გავეშურე, რომ უკანასკნელად სინამდვილეში დავრწმუნებულიყავ.

უცნაურია ეს სიზმარი და უცნაური იყო ალექსანდრეს ასე მოულოდნელად გარდაცვალება!

ღუშუკო ფალავანდიშვილი.

შეიძლება ოქროს დაფასებას, ასე ღვთის გულისათვის, ქეთინო, შეისმინეთ ეს ვედრება, თუ გინდათ ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედნიერება, შეისმინეთ ჩემი ხვეწნა, მუდარა!

ქეთ. პალიკო, როგორ წავიდე თქვენს ხარჯზე იტალიაში? რას ემგვანება! სინდისი განა მომასვენებს, როცა გავცარცავთ თქვენ პატიოსან აღამიანს?

პალ. თუ ღმერთი გვამთ, მაგას ნუღარ მიმეორებთ! შეიწყნარეთ ჩემი თხოვნა!

ქეთ. ნება მომეცით მოვიფიქრო.

პალ. დიდი სიამოვნებით, რადენი ხანიც გასურთ, ოღონდ კი ნუ მომაკლებთ ამ იმედს, ამ ნუგეშს.

ქეთ. კარგით სწორედ ერთ წელიწადი იყოს ვადა.

პალ. არა, ეგ ბევრია, დაუკელით!

ქეთ. ათი თვე?

პალ. არა, ეგეც ბევრია!

ქეთ. მაშ რადენი გინდათ?

პალ. ორი დღე, თუნდ ერთი საათიც!

ქეთ. ოხ, არა! არ შეიძლება!

პალ. თქვენი ნება აღსრულდეს... დამინიშნეთ ვადა, რომელსაც დავემორჩილები!

ქეთ. ნახევარი წელიწადი იყვეს.

პალ. თქვენი ნება იყვეს, მაშ ასე მშვიდობით!

ქეთ. მშვიდობით!

(პალიკო გაგა, ქეთინო მარტო დაჩხება, მივაფანჯანასთან, მიეუფლება და ნაღვლიანად დაუწყებს უურებას შორს სივრცეს მის სახეს მთვარის შუქი მიადგება.)

ო ა რ დ ა

მოქმედება მეხუთე, სურათი მეცხრე

მეათე მამქმედების შემდეგ განვლო ექვსმა წელიწადმა მოქმედება — თბილისში. თავ. ოქროს სარდანიშვილის ოთახი, ღრბიულად მოწყობილი: მარცხნივ კარატი, შებ წვეს ოქრო, მძიმე ავანდმეოფი. მის ახლო მატარა მაგიდაზედ წამლების შუშები და რეტე ტები, კუთხეში, მატარა მაგიდაზე ღამზარი, წითელ ამაყურ ჩამოფარებული, ისე რომ მთელ ოთახს ეფინება წითელი შუქი, ძირს ხაღაჩაზე მოკეცილი ზის დედაკაცი ნინო და უურს უგაებს ავანდმეოფს, ოქრო ძალიან გამსდარა. ეფითელი ფერი აქვს, დრო გამოშვებით მაისის მისი ურუ ხვედა.)

1

ოქრო და ნინო.

ოქრო. (ახველებს) ნინო, მიშველე მინდა მალა ავიწიო. ბალიშები გამისწორე.

ნინო (ადგება, უსწარებს პალიშებს ოქროს მაღლა აწევას უშეულის. ოქრო ნახევრად წამოდგება) კარგა ხართ ასე?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



თბ. გუბ. სახალხო მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება

დიდი მოვალეობა სახალხო მასწავლებლისა; სახალხო მასწავლებლის ხელშია ბედი ჩვენი მოზარდი თაობისა, მას უჭირავს ხელში ლომპარი წყვილის განსაფანტავად, მაგრამ... მაგარიც ის არის რომ ჩვენი მასწავლებელი ვერ სდვას თავის სიმალეზე, ვერ წარმოადგენს გერაფერს ძალას. ან რა ძალი უნდა ჰქონდეთ დაქსაქსულ, შეუკავშირებელ მასწავლებლებს; დიდი ხანია გაისმოდა მკრთალი ხმა მასწავლებლების შეერთება-შეკავშირების შესახებ, მაგრამ ეს ხმა მღალღებლის ხმად რჩებოდა... წელს კი ყოველგვ დაბრკოლება ძლეულ იქმნა და ჩაეყარა საძირკველი მასწავლებელთა საზოგადოებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მასწავლებლის სულიერ და ნივთიერ განვითარებას.

ხუთი ივნისი მიმდინარე წლსა, როცა პირველად დაიწყო დამფუძნებელი კრება მასწავლებელთა დახმარე საზოგადოებისა, ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი სკოლის ცხოვრებაში. პირველ ორ კრებაზე სახეზე ყველას ღმილი ემჩნედა, ყველას უხაროდა, ყველა სასიამოვნო შეებას გრძნობდა, მაგრამ დადვა გამგობის წვერთა არჩევნების დრო და ეს

სასიამოვნო სურათი შეიცვალა... პარტიულმა სენმა შეიპყრო კრება, გაჩნდა ჯგუფობრივობა, თითოეულში ჯგუფმა წამოაყენა თავისი კანდიდატები, შეიქმნა აგიტაცია, გამოვიდნენ თითოეული ჯგუფიდან დამკვეთებად „პრისაენი პოვერენები“, რომლებიც მხოლოდ პარტიულ ენით ხელმძღვანელობდნენ და არა ჩვენი სკოლის კეთილდღეობით... შეთანხმება შეუძლებელი შეიქმნა, დათმობის გზას არც ერთი ჯგუფი არ დაადგა. ასტყდა ჩოჩქოლი... დიდი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა არჩევნები მოხდეს ფარული კენჭის ყრით. ივნისის კრებაზე გამოცხადდა არჩევნების შედეგი. არჩეულია: თავჯდომარე - გ. ბურჯანაძე, წევრება: პეტროვი, როსტომიანი, წირქვაძე, და ქნი ელიავა. ქნი ელიავას არჩევანი უკანონოდ იქმნა ცნობილი (მიუღია 120-თეთრი, 130-შავი). ფედერალისტების ერთმა ჯგუფმა დაბ.ჯითებით მოითხოვა პრეზიდენტის რეზოლიუცია იმგნცხადების შესახებ, 9 წყვილმა რომ წარადგინა, რომლებიც ამტკიცებდნენ არჩევნების უკანონობას და ხელახლად მოითხოვდნენ არჩევნების მოხდენას. თავჯდომარე უყურადღებოდ დასტოვა მათი განცხა-

დება და კრებს წინადადება მისცა ქ-ნ ელი-
აფის მაგიერ სხვა კანდიდატი დაესახელებინათ.
ამის შემდეგ ერთმა ჯგუფმა პროტესტი გა-
მოაცხადა და დემოსტრატულად გავიდა და-
რბაზიდან. დარჩა მცირე ნაწილი; დაასახელებს
ლ. ჩიმაკაძე, რომელმაც უარი განაცხადა, ბო-
ლოს ერთ ხმად აირჩიეს ბ-ნი არ. მამულია-
შვილი. იმ დღესვე მოხდა სექციებად დაყოფა.
ეროვნების მიხედვით კრებას დაესწრა
250 ნამდვილი წევრი, რომლის სამ მეოთხედს
ქართველი მასწავლებლები შეადგენდენ; ქა-
რთულ სექციის წევრებად თითქმის ერთ ხმად
აირჩიეს: ქ-ნი მ. წერეთლისა, ტ. ხშიადაშვი-
ლისა, არდაზიანი, თ. ჩიჯავაძე და ლ. ჩიმა-
კაძე; დასრულდა არჩევნები. პარტიული უ-
ნით მოღალული კრება გამოაცოცხლა ლექ-
ტორმა დ. უზნაძემ, როკელმაც წაიკითხა ლექ-
ცია „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის“ შე-
სახებ; კრების ყურადღება მიიპყრა შინაარსი-
ანმა ლექციამ და ლექტორის მქერმეტყველო-
ბამ. მას მოჰყვა ლექცია პრიატ-ლოცენტ ყი-
ფშიძისა, ლ. ბოცვაძისა და სხვ.

დაწესდა ფილიალური განყოფილებანი:
სიღნაღის, თელავის, გორის და დუშეთის მა-
ზრებში და მათი დროებითი გამგეობანიც აი-
რჩიეს.

11 ივნისს გადინა ჰანაშვილი უკვდავ
პედაგოგ ი. გოგებაშვილის სულის მოსახე-
ნებლად.

12 ივნისს მოხდა წ.-კ. საზ-ში ქარ-
თულ სექციის კრება; კამათი აღიძრა ი გო-
გებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ.

კრებაზე გამოირკვა, რომ ქალაქის სკო-
ლის მასწავლებლებს ქალაქის სკოლებიდან
ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები გამო-
უღვენიათ; ამ გარემოებამ აღშფოთება გამო-
იწვია პროვინციულ მასწავლებელთა შორი,
რომელთაც ქალაქის მასწავლებელთ განმა-
რტება მოითხოვეს. მათაც წარბ-შეუხრელად
განაცხადეს: გოგებაშვილის სახელმძღვანელოს
არც სისტემა უფარვა და არც მეთოდო;
ყველა გრძობს, რომ გოგებაშვილის სახელ-
მძღვანელოებს განხილვა, შესწორებაეკირება
რაც შეეხება მეთოდს, ის საღ პედაგოგიურ
პრინციპებზე დამყარებული და შეთანხმებუ-

ლი დედაენ სთან სახელომძღვანელოებს შეერ-
თებულის ძალით უნდა წესწორება და არა
ღვენა სკოლებიდან. კრებამ დიაღვინა: მტკი-
ცით იქნეს დაცული ჩვენს სკოლებში განსწავ-
ბულის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები
და უაგედივე ზამა იქნეს მიღებული სახელმძ-
ვანელოების დაჩქარებით შესწორების შესახებ.

პედაგოგიური ჟურნალის შესახებ კრებამ
დაადგინა: რადგანაც ჩვენში პედაგოგიური ძა-
ლები ცოტაა და რაც არის მისი დაქსაქსვა სა-
სურველი არ არის, ამისათვის მთელ საქართვე-
ლოში უნდა დაარსდეს მარტო ერთი, მაგრამ უა-
ველ მხრივ შინაარსიანი პედაგოგიური ჟურნალი
ამ საკითხის საბოლოოდ გამორკვევა დაეცა-
ლა სექციის გამგეობას.

საღამოობით ხდებოდა კრებები წ.-კ. საზ-
ების სკოლების მასწავლებლებისა; განიხილეს
და შეასწორეს სანიმუშო პროგრამა: შესასწო-
რეს „დედაენის“ პირველი და მეორე ნ წი-
ლი. კრებაზე განიხილეს აგრედვე საპენსიო
კასის წესდება, რომელიც ცოტა შესწორების
შემდეგ მოიწონეს და დაამტკიცეს.

14 ივნისს მასწავლებელნი წავიდ-წამო-
ვიდნენ. **გრ საქარჩქედელი.**

ქართული ფილარ. საზოგ. განყოფილება ქ ქუთაისში.

მ. ლობჯანიძის თაოსნობით ქუთაისში არს-
დება ქართ. ფილარმონიულ საზ ის განყოფილე-
ბა. განზრახულია ენკენისთვეში დაარსონ მუსი-
კალური სკოლა, შეადგინოს ეროვნული გუნდი,
რომელიც იმდერ-იჯღობებს საერო და სასული-
ერო სიმღერა გალობას, ეტლებს მომავალში შე-
ჭკობას და გამოსცეს ეროვნული ქანკები, მო-
აწუას ზრავინციაში კონცერტები და სხვ.

3 მაისს ბიუროში არჩეულ იქმნენ: გასკე-
ვანიშვილი ა., თუბერძე გ., ლობჯანიძე მ.,
მადრაძე კ., თაგ. მიქელაძე. მამა რ. ხუნდაძე და
ქმანი მ. და ნ შარბიძენი. არჩეულებმა განი-
წილეს თანამდებობა: თაგჯდომარედ—ა. გასკე-
ვანიშვილი, მის ამხანაგად—გ. მადრაძე და მ-
შარბიძე, მდივნად—მ. ლობჯანიძე.

ნებართვის შემდეგ, მოწვეულ იქმნება ბი-
უროს მიერ დამუშობებული კრება, რომელიც
არჩევს გამგეობას.

ქ. ქუთაისს მიემატება ერთი კულტურული
საზოგადოება, რომელიც ემსახურება საშობლო
ხელფონების აუგავას. ვუსურვებთ წარმატებას.
დ. ქ-ი.

ქარიშხალს

დაუბერე ქარიშხალი! მომაცალე სევდის რიდე!
 ქმუნვა-ებავ, შავო ფ ქრო, განქორო, განმერიდე!
 ყოდნის ტაღდავ, ამქუხარდი მე ავუშვებ ბრძოლის ნავსა
 და თუ სადმე შთაღნიტქები, დავიღუპავ უინით თავსა,
 მაშინ ცაო ლოცვას გეტყვი, რომ უფსკრული მითავაზე —
 მე სიკვდილი მენატრება ბრძოლისა და ძებნის ზღვაზე!
 ს. ამაშუკეთი

სიმ. წეველი

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

გაზაფხულდა! გიფურჩქნა ვლზე ტურჯა ყვავალეო,
 არე-მარეს მ-ეფინა სიცოცხლის და შვების ხმები;
 აღზღდა კილით-კიდე განახლების იგრძნო ძალა,
 და ბუნების სილამ ზე, ფერად ღროშიად გაიშალა?
 აგერ ცაზე ცეცხლის ბურთი, სხივთა ფრქვევით აციმციმდა,—
 გულს მოეშვა, ზეციური სიყვარულით აქვითინდა;
 სასიკვდილო, სათნოებით გადახედე მინდორ-ველსა
 და ვთქვი: ღმერთო! როგორ შეენის მზე სამშობლო! საყვარელსა!
 მაგრამ ფიქრი, შავი ფიქრი გულში შხამად ჩახუთული,
 საიდუმლო მწუხარება, ერის ტანჯვა, ერს წყლული,
 მომაგონდა და მწუხარედ გულს აღმოხდა მწარე კენესა:
 ღმერთო, ღმერთო რისთვის გვართმევ სინათლეს და სიცოცხლესა?!

ცა კი სდუმდა... არე-მარე თუმც ცქრიალით ციმციმებდა,
 მესმოდა რომ ერის გული ცრემლ-მორევით ქვითინებდა
 და ბუნების სიხარულზე, ვით ფერადი მწუხარება,
 მშობელ მიწას დასტიროდა თავ-დახრილი ყვავილთ კრება...
 მარტი 1916 ქ. თბილისი.

აპოლონ ხაქალია



პოდ. დავ. ალ. ცაგარელი
 მოკლულია ტრაპიზონთან
 ბრძოლაში 1 აპრ. 19 6 წ.,
 დაბად. 24 წ. დაჯილდოებულია

სიზმარი სანგრებში

(მოთხრობა)

(გაგრძელება. იხ „თ და ც.“ № 26)

გავიდა სამი თვე, რაც თედომა და მ-სმა
 პოლკმა ვარჯიშობა დაიწყო. საქირო ცოდ-
 ნა ჰაიპარა, საჩქ.როდ შეაწყვდეს და ბრძო-
 ლის ველისკენ გასტუმრება მოულოცა პოლკს
 მისმა უფროსმა.

ის იყო მივიდნენ ბრძოლის ველზე, რომ
 გაპოვიდა ბრძნება, მარცხენა ფრთაზე ჩვენს
 ჯარს დიდი ზიანი მოაყენა მტერმა და ჩქარა
 მიეშვე ლენითო. ახალმა ძალამ უკან დაახვეინა
 მტერსა, მაგრამ ბ-ნდისას მტერი ისევ მოაწვა.
 უშველებელ მანქანასავით მოდიოდა, რომე-
 ლიც სრესავდა ყველაფერს, რაც კი წინ ელო-
 ბეოდა, ყველაზე წინ მოდიოდა ტყვიის

მტყორცნავთა რაზმი, რომელიც სულთამხუ-
 თავით ხალხსა სცელოვდა, ტყვიის მტყორც-
 ნავების წვრილ ხმას ბანს აძლევდა უზარ-
 ხარი ზარბაზნები, რომლის ტყვია ირგვლივ
 ცეცხლის შუქს ჰფენდა და ჰაერს აზანზარებდა.

ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. შევიდა სო-
 ფელში, სანგრებში ჩაუსაფრდა მტერსა და
 თოფის სროლით დაუხვდა. სოფლის მეორე
 ნაპირას გამაგრდა. ცოტა ხანს თ თქო სიჩუ-
 მე ჩამოვარდა. თოფის ხმა არ ისმოდა. თით-
 ქოს ორივე მხარე ძაღლონეს იკრეფდა და
 ისევ საომრად ემზადებოდა.

აი, ჰაერში რაღამაც გაიზუზუნა და ზოდ
 სანგრების გასწვრივ გასქდა შრანელის ტყვია.
 თედოს გვერდით მყოფ ჯარის კაცმა დია-

კენსა: საბრალოს მარჯვენა ხელი და გვერდი ამოღადრული ჰქონდა. თედომ თოფს თავი დაანება, ჯიბეს იკრა ხელი, ამოიღო ბაზბა, „მარლა“ და საცოდავს ჰკრილობა შეუხვია. თან ანუგეშებდა თავისი დამტვრეული რუსულით: — „ნიჩივო, ეფიშკა, ნიჩივო“. შეცადა კიდევაც მისს სანგრებოდან გამოყვანას და ექიმაან წაყვანას, მაგრამ ვინ გაჰბედავდა, როდესაც გერმანელებმა შრაპნელის სროლას მოუხშირეს. ახლა სანგრებშია ცუკი საშიშო იყო ყოფნა, მაგრამ სად წავიდოდა?

აფიცვრმა ბრძანება გასცა: ტყვიის გაუფრთხილდით, როცა მტერი მოახლოვდება, მაშინ ხიშტებით შეუტევთო. მაგრამ გერმანელები თითქოს ტრაბახობდნენ, ბევრი ტყვია წაწალი გვაქვს და არა ვზოგავთო. ამიტომ უწყალოდ ისროდნენ. ჩვენები ტყვიას უფრთხილდებოდნენ,

ეს მოხდა გათენებისას. მტერმარა დაატყო სროლა უფრო მოუხშირა. საქმე ცუდად იყო.

— აბა, ძმებო, — მიჰმართა აფიცვრმა ჯარის კაცებსა, — ტყვია აღარა გვაქვს. გულხელ დაკრფილი რომ ვისხდეთ აქა, მტერი მუსრს გაგვავლებს, ამოვიდეთ სანგრებიდან და გავიქცეთ, უარეს ღღეში ჩავცვივით. საჭიროა ცოტა ხანს კიდევ გაუძლოთ, იქნებ ჩვენ საშველად მოდან, ამიტომ წავიდეს ვინმე და მოიტანოს რამდენიმე ყუთი ტყვია.

გამბედაობით ცნობილმა ჯარის-კაცებმაც კი უკან დაიხიეს. მიმართვამ რომ ვერ გასქრა, ეხლა აფიცვრმა თხოვნა-მუდარა დაუწყო: არავინ ინძრეოდა. ყველა მოღუშული სახით იჯდა სანგარში.

— შენ, კირილენკო, ისევ შენ წადი, მიჰმართა აფიცვრმა ერთ ჯარის-კაცსა.

— არა, თქვენო კეთილშობილებავ, ვერ გავებდავ ამ ტყვიის სეტყვაში, — მიუგო ჯარის-კაცმა.

— აბა, მაშ შენ წადი, ნიკიფოროვ!

— გერა, თქვენო კეთილშობ ლეზავ!.. და ასე სათითაოდ ყველასა სთხოვა. ჯერი თედოზე მოდგა.

— ეჰ, სულ-ერთია, ახლა მოვკვდები ერთი საათის შემდეგ, თუ ერთი ღლით

გვიან, — გაიფიქრა თედომ, — წაველ და ჯანდაბას ჩემი თავი!

— სლუშაიუს! — მიუგო თედომ აფიცვრსა, ამოვიდა სანგარიდან და მუცლის ხოხვით გზას გაუდგა.

ის იყო ჩირგვს ამოეფარა, რომ მის გვერდით ყუმბარა გასქდა. თედო გადარჩა, მხოლოდ ცოტა მიწა შეეყრა სახეში ყუმბარამ. ცოტა ხანს მოიცადა და ისევ მუცლის ხოხვით მიცოცავდა თედო..

სანგრებში მყოფებმა რაღაც რახა-რუხი გაიგონეს. პატარა ხანში ნახეს, რომ ტყვიით დატვირთული „ტელეკა“ ვიღამაც სახლის ნანგრევს ამოაფარა. აი „ტელეკიდან“ ჯარის-კაცი ჩამოხტა, მოიკიდა ზურგზე ორი-სამი ყუთი და სანგრებისაკენ გამოიქცა. ის იყო სანგარს მოახწია, რომ ზუზუნა „შრაპნელმა“ ბარძაყში ძვალი გადაუტახა. „ვიიო“, დაიძახა ჯარის კაცმა და ყუთებიანად ძირს დაეცა.

სანგრებში მყოფმა ჯარის-კაცებმა იცნეს თედო. სინდისმა შეაწუხა ისინი. ახლა-კი ყველამ მოისურვა სანგრიდან ამოსვლა და მისი შევლა. მაგრამ აფიცვრმა აუკრძალა ყველას ამოსვლა და ბრძანა რამდენიმე-კაცი გასულიყო, ტყვიის ყუთის მოსატანად და თედოს საშველად. თედო სანგარში ჩაიყვანეს და ჰკრილობა მაგრა შეუხვიეს. აფიცვრი თედოს გადაეხვია და მისი სიმაშაციით გახარებულ იანუგეშებდა:

— Ты будешь у насъ въ ротѣ первымъ георгіевскимъ кавалеромъ; я тебя представлю къ кресту.

სროლა სანგრებიდან სანგრებში ღიღხანს აღარ გაგრძელებულა. მალე მაშველი, ჯარს მოვიდა და ხიშტებოთ მტერი უკუ აქციეს. თედო კი საავადმყოფოში გამოისტუმრეს.

(გაგრძელება იქნება)

მირ. ხორჯელი



წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

იმ თავითვე ჩვენი ხალხის მტრები სცდილობდნენ ქართველ ერის დაყოფას, დაქუცმაცობას, მათ შორის მტრობის დათესვას. ამ მიზნის განსახორციელებლად შეითხზეს მეგრული ანბანი, და ასე გასინჯეთ, ფოსტარგოვი აზიარებდა იმერლებისთვის საკუთარ ანბანის შედგენას...

დღიდან ბათუმის მხარის რუსეთთან შეერთებისა, ბიურაყარტია ყოფილ დონის ძიებით სცდილობდა ქართველ მუსულმანთა და ქართველ ქრისტიანთა შორის არ მომხდარიყო ერთობა... ამ ერთობის შეხებით ქართველთა რიცხვი განზრდებოდა, და ევეფას ხომ არ ეპიტინაგებოდა ამ რიცხვის გაზრდა! სცდილობდა ქართველ მუსულმანთა შორის დაენიშნა სტამბოლიდმ მისული, მეტად ფანატორიანი მოღვაწეები და სოჭოში რომელიმე უკრძალავდნენ მათ ქართულ ენის შეწყვეტას, რაც მათის აზრით იმათ გაქრისტიანებდა.

მართებლობამ აჭარლებს დაურიგა თათებში და განაწესა დარაჯობად ბათუმისა და სხვა ადგილებში, რისთვისაც მცირე ჯამაგირს აძლევდა... 1905-197 წლებში ქართველი მუსულმანები დარაჯობად იყვნენ ქართველ ქრისტიანთა სოფლებსა და ქალაქებში... ზოგან ქართველ მუსულმანებს მთავრობის მამისახლისებად ნიშნავდნენ.

რას გამოიწვევდა ეს მოვლენა?! — გათიშვას, გაცდევას, თან ბანაკად გაყოფას, ორი სჯულის მოძიებას შორის სიძულვილს.

ერთხელ ბიურაყარტიის ჩატონებით ქართველ მუსულმანების ვითომ წარმომადგენლებმა ცივი უარი სთქვეს ერობის შემოღებაზე...

ქართველ მუსულმანები უფრო აჭარიდან ძვიერ ეტყობადნენ თათ-იარაღს, მისი ხმაურბაც კარგად იცოდნენ და შესახედავთ უჩინებო იყვნენ... მთელი დღე თათთა ედარაჯობდა აჭარელი... მუშაობას, გარჯას სოფელში ერთობოდა, უსაქმობას ეჩვეოდა. სწავლა-განათლებისთვის არ ეცადა... და ნელნელა ნიადაგი ხალიჩა ფეხქვეშიდან ეცდებოდა.

ახალ დროს მსხე მოთხოვნილობა სწავლა ცოდნის შესახებ ბოლოს დროს შეესმა აჭარლის

ურსა... დაჭეო თვისი უსაქმობა წარსულში... დღეს ელტვის ცოდნას და სულს ეს ცოდნა შეიძინოს თვის „ღვინაგაზე“ (ასე ეძახიან), თვის გურჯულ ენაზე. დაწმუნებული ვართ, რომ თათ-იარაღის მაგვირად ამის შემდეგ ქართველი მუსულმანი სამეურნეო იარაღებს კადამს, ქადაღს და წიგნს მოჭვიდებს ხეჯს... და სწორედ ამაშია წინდი მისი საუკეთესო მომავლისა დღეს ქართველი მუსულმანი
 რამ შეგებით ეტკიება
 დროთა ბრუნვის ჩარხის ტრიალს;
 ეს შეგება გზას უნათებს
 და უქადის სხვა მომავალს...
 იქ ჩქეფვს წყარო ცხოვრებისა,
 იქ მოვლის ბედი ტკიბილი...
 და უკან კი წვედიადა...
 სამარეა და სიკვდილი. **შენი ჩაქუჩი.**

ნალჩიკის ქართველობა

უკვე მეორე წელიწადია რაც ნალჩიკში ქართული სკოლა არს. ბობს და ამ მოკლე ხანში შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. სკოლის დაარსებამდე ნალჩიკელი ქართველები (გარდა ათი თორმეტი მეთაურისა) გულგრილად უყურებდნენ თავის ეროვნულ საკითხებს და ლამის გადავიწყობდნენ გზაზე იდგნენ. დღეს-კი სულ სხვა შეხედულებისა გახდნენ და თავისი ძვირფასი ქართული სკოლისთვის უკანასკნელ გროშასაც აღარ ზოავენ. ამ ხანად სკოლაში ორმოცდა ათზე მეტი ბავშვის წვლობს და მოზრდილთა საკვირი. სკოლაცა არსებობს

ამას ან ერთად უკვე კარგა ხანია რაც სკენის მოყვარეთა ჯგუფი შესდგა და მხნედ განაგრძობს სისტემატიურად ქართულ წარმოდგენების მართვას. სწორედ ამ წარმოდგენების წყალობით გახდნენ აქაური ქართველები ამ მოკლე ხანში ასეთი უცნაური და შეიყვარეს თვისი ფრიალ მნიშვნელ ვანი ეროვნული საქმე—სკოლა. წარმოდგენების საქმე ბევრად უფრო კარგად წავიღოდა, რომ სახლის სიფიწროვე არ უზიოდეს საქმეს ხელს. ეს სახლი ქართველებს დრ ებთ დაჭირავებული აქვთ, მხოლოდ დიდათ, კდილობენ, რომ შეიძინონ თავისი საკუთარი მიწა და შესაფერისი შენობაც ააგონ. ამ მხრით ბევრი რამ ზომებია მიღებული, ფულიც არის მოგროვილი რამდენიმე, მხოლოდ ეს ფული მცირეა იმ მოთხოვნილებასთან, რასაც გამოიწვევს ნალჩიკში საკუთარი მიწის შექმნა და შეგნობის აგება. მოწინავე საზოგადოების მოვალეობაა უნარდლება მიაკეთოს სამშობლოდან სიღუპტარის გზა გდმოსახლებულ მოძმეთ და შეძლებისდაგვარად-ნივთიერი დახმარებაც გაუწიოს სკოლას, რათა უფრო მვიდრ ნიადაგზედ იქმნეს დაყენებული ეს ფრიალ მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე. დასასრულ არ შემოძლიან ჩემი გულითადად მადლობა არ გამოვეუცხადო ნალჩიკის სკოლის გამგე-მასწავლებელს ბონ სამსონ მუმულისას, რომელიც გასაოცარი ენერგიით თავდადებულად მუშაობს და მაგალითის აძლევს ბევრს ქართველთა თვისი დაუღალავი შრომით. ვუსურვებთ ჯანმრთელობას ნალჩიკის სკოლის საბედნიეროდ, ხოლო ადგილობრივ ქართველობას მეტს სიფხობეს-და მუშაობას თვისი ეროვნული კულტურის განაფურა ჩქნად.

ი. ლო—ძე

წვრილი აგებები

➔ **ქართ. ღრამ. საზოგადოება** მსახიობთ ვლ ალ -მესხიშვილსა და ვ. გუნიას პენსია დაუნიშნა, თითოს წლოურად 840 მან.

➔ **ქუთაისის ქართ. გიმნაზიის მოწაფენი** 24 თიბათვეს კახეთს გაემგზავრენ საქესკურსიოდ. კახეთის დათვალეიტების შემდეგ სამცხე-საათაბაგოს შემოიცილიან ფეხით.

➔ **ივ გომარათელი** საზაფხულო ჯ დასასვენებლად კისლოვოდ: კს გაემგზავრა.

➔ **საბაბაკაძე წარმოდგენებს** გამართავს მსახიობი ი. ზარდალიშვილი ი. გრიშაშვილის მონაწილეობით 20 მკათათვეს ბორჯომში, 25 მკათ თვეს — წალღერსა და აბასთუმანში.

➔ **დ. ხაუშურის ქართ. ღრამ წრე** მკათათვის შუა რიცხვებში წალღერში წარმოდგენს მართავს საკუთარ ძალეებით.

➔ **დ. ხაუშურის გომკიავისი** მიერ 26 თიბათვეს გამართულ ქართულ კონცერტ. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ხალხი ბლომად დაესწრო. კონცერტი როგორც ელოდნენ, ისეთი ვერ გამოდგა. პროგრამა უფერული იყო

➔ **ხონის დრ. საზოგ. გამგეობამ** რეჟისორად მიიწვია მ ანიობი ალ ყაღაბეგიშვილი

➔ **ხონში დაარსდა** დრამატული საზოგადოება. გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ექიმი მიხ. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ლ. სანოძე, ლ. ჩხენკელი, ი. ჭავჭავაძე, ნ. შაფაქიძე, რ. წიგწივაძე და კ. უგულავა, კანდიდატ: ს. ჯობერენაძე, ვვ. სანდირაძე.

➔ **ხონის ღრამბ. საზოგ. -ის** გამგეობამ ზაფხულის სეზონისთვის მ. მდივანის, ა. ლოდობერიძისა და ალ. ყაღაბეგაშვილის გარდა მოიწვია ბ-ნი მ. ნემო და ა. მურუსიძე. ადგილობრივ სცენის მოყვარულთაგან მონაწილეობენ: ქ-ნი მ. ბალანჩივაძე, ფ. ბახტაძე, ლ. ჭანტურიშვილი. ბ-ნი ი. რუხაძე, რ. წიგწივაძე, ი. ჭავჭავაძე, დ. მებუჯე კ. ქუთათელაძე, ამ ბახტაძე, გ. ბახტაძე და სხვ.

➔ **ათი წელი** შესრულდა რაც ხონში სისტემატიურად წარმოდგენები იმართება.

➔ **მასო აბაშიძე** ამ ზაფხულს სამკურნალოდ მიემგზავრება წყალტუბოს, იქიდან —სახერგს დასასვ.

➔ **პროფ ალექ. ცაგარელი** ამ ჟამად თბილისში იმყოფება და ერთი კვირის შემდეგ კისლოვოდსკს გაემგზავრება.

➔ **მ. აბაშიძე როლმეზი**, საუცხოო სურათი, გამოსცა ვ. არაბიძემ პეტროგრადში. შუაში ვასოა ირგვლივ იგივე ათ სხვა როლში. ღირს 1 მ. 50 კ.

➔ **მანო სარაჯიშვილი** ამ ჟამად ახალი კლუბის სადამოებში მონაწილეობს.

სახალხო სახლში 18 თიბათვეს ზ. გომელაურის თაონობით გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო და იუმორისტული საღამო. საღამოს დაწყე-

ბამდე, ბ. ზ. გომელაურის თხოვნით, დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პარტივი სცა ახლად გარდაცვლელთა აღ. თვე. ყოფშიძის და ალ ბალ. შიხინოვის სხოვნას. ვანო სარაჯიშვილმა იმღერა ახალგაზდა კომპოზიტორ ირაკლი ჯაბადარის რომანსი „ნუ ვინ იტყვის თ'ლობისა ვაებას“, რაიც საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და გაამეორებინეს. ამღერეს კიდევ რამდენიმე რომანსი. საზოგადოებას მოეწონა ქ-ნი ა. ავასოვისაც, მოსდენილი სიმღერის გ მო. ლექსები წაიკითხეს ი. გრიშაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა და ი. დაროშვილმა (გრიშაშვილისებურად); ი. ზარდალიშვილმა ებრაული სცენები. ჩვენმა მუდამ უტკნობმა ვასომ ვოდ. „არც აქეთ-არც იქით“ ში ბევრი აციხა დამსწრენი, კარგები იყვნენ: ალ. იმედაშვილი, ი. თარალაშვილი, სარაული, ხონ. ლი. პროგრამაში დანაპირები სავსებით ვერ შეასრულეს: სხვათაშორის ილ. გოძიაშვილის გუნდმა არ იმღერა, რადგან გამგეს ქულაჯები ვერ ეშოვნა. საზოგადოების ასე მოტყუება უზრდელობაა, არც ისაა კარგი, რომ გამოცხადებულ დროზედ ვერ იწყობენ, რიაც დამსწრეთა უკმაყოფილებას იწვევენ.

ახალი კლუბი 1 ქვირის პროგ 3-10 ივლისს

ორშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი

ოთხშაბათი — სინემატ. სიმფ. ორკესტრი

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); ორკ.,

პარა კ. — სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

შაბ. — სიმფ კონც. **სარაჯიშვილის** მონაწ.

ქვირა — საბავშო ს ღამო, ორკეს. სინემატ.

დასაწყისი: კონცერტობისა საღამ. მ სი... წარმოდგენ-სა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 ს. **სომეხ-სამღელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლო-სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1 05 კ.



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა